პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ აგვისტო _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო - სამკურნალო ცენტრი გერგილი +"-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------ აგვისტოს № ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო - სამკურნალო ცენტრი გერგილი +"- სათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტ
საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს
№ -------- განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძის და შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „სამედიცინო - სამკურნალო ცენტრი გერგილი +“-სათვის
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი/ საიდენტ-ფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	დანიშნულება
1.	მოქალაქე ნათია მიქაძე	60001055036	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №18-ის სამხრეთით	ტროტური	5.60 კვ.მ.	03.01.21.014	560	კიბის უჯრედის მოსაწყობად
2.	მოქალაქე შოთა დიდბერიძე	60002018537	ქალაქ ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №47-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	4.40 კვ.მ.	03.04.30.348	440	კიბის უჯრედის მოსაწყობად
7.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო - სამკურნალო ცენტრი გერგილი +“	212812438	ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №27-ის ირგვლივ	სკვერი	2.00 კვ.მ.	03.01.24.362	200	კიბის უჯრედის მოსაწყობად

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო - სამკურნალო ცენტრი გერგილი +"-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ნათია მიქაძის განცხადებები (12.04.2022 წ. N19/4422102365-44 და 21.06.2022 წ. N19/4422172154-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N18-ის სამხრეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ს.კ. 03.01.21.014; ფართობით 5.6 კვ.მ.), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე შოთა დიდბერიძის განცხადება (07.07.2022 წ. N19/4422188225-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N47-ის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ს.კ. 03.04.30.348; ფართობით 4.40 კვ.მ.), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე შპს ,,სამედიცინო-სამკურნალო ცენტრი გერგილი +"-ის (20.07.2022 წ. N10/4422201187-44) მომართვა, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N27-ის ბინის ირგვლივ არსებული ტროტუარის ნაწილის (ს.კ. 03.01.24.362; ფართობით 2.0 კვ.მ.), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო - სამკურნალო ცენტრი გერგილი +"-სათვის 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა. განკარგულების დანართის შესაბამისად. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს. ასევე, სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძის და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო - სამკურნალო ცენტრი გერგილი +"-სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი